საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

25 02 2020 წ. № 57 ქ. თბილისი

საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

1. 2020 წლის 25 თებერვალს შეიქმნას წარმოებაში ჩაშვებულ მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმზე „ჭა" (რეჟ: ელდარ შენგელაია, პროდიუსერი: ააიპ „ცისფერი მთები") და სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმზე „ხელოსანი თუ ხელოვანი" (ი/მ ნიკოლოზ აბრამიშვილი, რეჟისორი-გიორგი ცხვედიანი) თანხის დამატების განმხილველი საექსპერტო კომისია 3 წევრის შემადგენლობით:

1. გივი ოდიშარია - სცენარისტი;
2. მანანა ანასაშვილი – რეჟისორი;
3. ლევან კიტია - რეჟისორი;

2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) იურისტს გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

3. წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრებად მოწვევის თაობაზე წერილობითი დასაბუთება და კომისიის წევრების CV.

4. დაევალოს კინოცენტრის IT სპეციალისტს თორნიკე ბარდაველიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

5. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი მაია ჭილაშვილი

წერილობითი დასაბუთება მანანა ანასაშვილის

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

პროექტებისთვის თანხის დამატების საკითხის განმხილველი საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, მანანა ანასაშვილის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე მივიჩნევ, რომ მანანა ანასაშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

1976წ. თსსი-ს დამთავრების შემდეგ, მანანა ანასაშვილმა 1977 წელს დაამთავრა თსუ ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით, 1981 წელს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტი, ხოლო 2003 წელს მედისონის უნივერსიტეტი ხელოვნების მენეჯმენტის სპეციალობით. სხვადასხვა წლებში მანანა ანასაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, როგორც მომხსენებელს.

2004-2005 წლებში მ. ანანსაშვილი მუშაობდა ევროინტეგრაციის სახელმწიფო სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად, 2013-2014 წლებში იყო კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პარალელურად იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელობის უნივერსიტეტში, ევრო-კავკასიურ უნივერსიტეტსა და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, მ. ანასაშვილს წაკითხული აქვს სალექციო კურსები თემებზე: „დიადი ფილმები – I" (ლიტერატურული შედევრების ეკრანიზაციები), „დიადი ფილმები – II" (მსოფლიო კინოს შედევრები) „მოდერნისა და პოსტმოდერნის ლიტერატურული შედევრები კინოადაპტაციებთან ერთად, „მსოფლიოს საუკეთესო მოთხრობა ეკრანიზაციასთან ერთად" და სხვა.

მ. ანასაშვილი არის დამდგმელი რეჟისორი რამოდენიმე მხატვრული და დოკუმენტური ფილმისა, რომლებსაც მიღებული აქვთ პრესტიჟული ჯილდოები როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ფესტივალებზე. მისი ავტორობით და რეჟისორობით დადგმულია რამოდენიმე წარმატებული სპექტაკლი სხვადასხვა თეატრებში.

მანანა მანასაშვილის მაღალი პროფესიონალიზმის, ღრმა და მრავალმხრივი განათლების, სამუშაო გამოცდილებისა და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით, ვიწვევ მას პროექტებისთვის თანხის დამატების საკითხის განმხილველი საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი		მაია ჭილაშვილი

წერილობითი დასაბუთება ლევან კიტიას კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

პროექტებისთვის თანხის დამატების საკითხის განმხილველი საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ლევან კიტიას პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ლევან კიტიას განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

ლევან კიტიამ 1988 წელს დაამთავრა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის სარეჟისორო განყოფილება. 1988-1990 წლებში ლ. კიტიას კითხულობს სალექციო კურსს თანამედროვე კინოს შესახებ თსუ-ში, 1996-1997 წლებში იგი არის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, 1997-2000 წლებში თსუ ხელოვნების ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, ხოლო 2000-2006 წლებში ამავე ფაკულტეტის დოცენტი, ხოლო 2009 წლიდან თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

სხვადასხვა წლებში ლ. კიტია მუშაობდა რეჟისორის ასისტენტად, სტაჟორად, რეჟისორად, სამხატვრო ხელმძღვანელად, კრეატიულ დირექტორად, პროდიუსერად, ფოტოგრაფად, სცენარისტად, რეპორტიორად და წამყვანად 20-მდე სხვადასხვა ტელეპროექტში. 1978-1984 წლებში ლ. კიტია იყო თსუ ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანების თავმჯდომარე. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი, რამოდენიმე მხატვრული და დოკუმენტური ფილმის სცენარის თანაავტორი და ზოგიერთი მათგანის რეჟისორი. ფილმები მონაწილეობდნენ კიევის, კარლოვი-ვარის, თელ-ავივის, კასინოს, ედინბურგის, მიუნჰენის, საარბრუკენის, კლემონ-ფარანის, რეტერდამის, ედინბურგის, მოსკოვის, მონტეკატინის, კოტბუსისა და სხვა კინოფესტივალებზე. ფილმებს მოპოვებული აქვთ საერთაშორისო ჯილდოები.

კინო და ტელე სფეროში ხანგრძლივი და მრავალმხრივი სამუშაო გამოცდილების, მაღალი კვალიფიკაციისა და კრეატიული ხედვის გათვალისწინებით, ვიწვევ მას პროექტებისთვის თანხის დამატების საკითხის განმხილველი საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი — მაია ჭილაშვილი

წერილობითი დასაბუთება გივი ოდიშარიას კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

პროექტებისთვის თანხის დამატების საკითხის განმხილველი საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, გივი ოდიშარიას პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ გივი ოდიშარიას განათლება, სამუშაო გამოცდილება, კვალიფიკაცია და პიროვნული თვისებები იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1979-1981 წლებში გივი ოდიშარიამ გაიარა მოსკოვის ორწლიანი უმაღლესი სასცენარო და სარეჟისორო კურსები, ხოლო 1985-86 წლებში სარეჟისორო სტაჟირება გიორგი შენგელაიასთან. 1982-2002 წლებში გივი ოდიშარია მუშაობდა „მეცხრე არხის" სცენარისტად და რეჟისორად, 2007-2014 წლებში იგი საზოგადოებრივი არხის რედაქტორია, ხოლო 2014 წლიდან დღემდე საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის რეჟისორია. 2004 წლიდან გ.ოდიშარია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, ასევე ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. მას ჩატარებული აქვს მასტერკლასები კინოდრამატურგიაში რიგის, ვილნიუსისა და კიევის კინოფესტივალებზე.

გივი ოდიშარიას, როგორც რეჟისორს, გადაღებული აქვს ფილმები: „მე მესიზმრება თბილისი", „თბილისობა" და „დღესასწაული", იგი სცენარის ავტორია 10-მდე მხატვრული და დოკუმენტური ფილმისა, მათ შორის, „დახატული წრე", „ჩიორა", „კარიერი", „3-1" და სხვა., რომლებსაც მოპოვებული აქვთ ჯილდოები და დიპლომები სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე.

გივი ოდიშარიას მაღალი პროფესიონალიზმის, დიდი გამოცდილების, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობისა და კოლეგებში კარგი საქმიანი რეპუტაციის გათვალისწინებით ვიწვევ მას პროექტებისთვის თანხის დამატების საკითხის განმხილველი საექსპერტო კომისიის კომისიის წევრად.

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი — მაია ჭილაშვილი